გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



გაზეთი „ივერია" თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მან. 50 კაპ.

## „ივერია"

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართველთა ამხანაგობის მაღაზიას გარდაეცა

მესამე და უკანასკნელი ათასი

კედლის ქართული კალენდარი 1892 წ.

ფასი 40 კ.

(5—0—3)


თანხმად მე-4 § განკარგულებისა, რომელიც სახელმწიფო ქონებათა მინისტრისაგან განცხადებულ ექმნა უმართებელესს სენატს ფილოქსერის გავრცელების წინაამდეგ ღონისძიებათა შესახებ, კავკასიის ფილოქსერის კომიტეტი ამით აუწყებს, რომ მან სცნა ქვემო-ხსენებული ადგილები ქუთაისის გუბერნიისა ფილოქსერის სენით მოდებულად: ქუთაისის, შორაპნის და სენაკის მაზრები და რიონის ხეობაში მდებარე მიწები სოფელ დერჩასი, ლეჩხუმის მაზრისა, იმავე გუბერნიისა;

ფილოქსერის მხრით საეჭვოა შემდეგი ადგილები: 1) ქუთაისის გუბერნიაში: ლეჩხუმის მაზრა, გარდა სვანეთის საბოქაულოსი, რაჭის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრები და ბათუმის და სუხუმის ოლქები, და 2) ტფილისის გუბერნიაში გორის მაზრაში ადგილი შემდეგ საზღვართა შორის:

სამხრეთით—მ. მტკვარი. სოფ. ტაშის კარიდგან სოფ. გომამდის და თვით სოფ. გომი; აღმოსავლეთით—პირდაპირი ხაზი, გასწვრივ სოფ. გომიდგან ცხრა-მუხა და ფცხნისის სერების ქედზედ, მერე თვით ეს ქედი გორის მაზრის დასავლეთის საზღვრამდის; ჩრდილოეთით და დასავლეთით იმავე მაზრის დასავლეთი საზღვარი (ქედი, რომელიც ჰყოფს ტფილისის გუბერნიას ქუთაისის გუბერნიისაგან).

(3—1)

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენის ძველის მწერლობის მოყვარულთ მოსვლიათ აზრად დაჰბეჭდონ ცალკე წიგნად ვრცელი სამეცნიერო მონოგრაფია ბ-ნ თ. ჟორდანიასი; „ანტონ კათალიკოსი საქართველოსი და მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმირისა და იაროპოლკისა", რომელიც დაწერილია რუსულად და იბეჭდება „საქართველოს საექსარხოსოს მოამბეში" ამ ჟურნალის დაარსების დღიდამვე. ზემოხსენებულთ მოყვარულთ უკვე მიუყვიათ ხელი ამ ფრიად საინტერესო მონოგრაფიის გადმოთარგმნისათვის და უნდათ მოასწრონ მისი დაბეჭდვა 29 თებერვლისათვის, რადგან სწორედ ამ დღეს გარდაიცვალა ამ ას სამის წლის წინად, სახელდობრ 1788 წელს, ეს სახელოვანი კაცი მეთვრამეტე საუკუნისა და ბრწყინვალე მნათობი საქართველოს ეკკლესიისა.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ერთი „კარ-დახშული" და კარ-ჩაკეტილი კრება კიდევ უნდა მოხდეს. კრება განიხილავს 31 იანვრის განაჩენს.

*** გუშინწინ, 5 ამ თთვისას, ქართულმა დრამატიულმა დასმა საბეფისოდ ვლ. ალექსეევ-მესხიშვილისა წარმოადგინა შილლერის 5 მოქმედებიანი დრამა „ავაზაკები". ამ წარმოდგენამ სწორედ ჩინებულად ჩაიარა. ყველამ რიგიანად შეასრულა თავისი როლი. ტაშის კვრასა და ვაშას ძახილს დასასრული აღარა ჰქონდა. საჩუქრები მრავალი მიართვეს მობენეფისეს. საზოგადოება იმოდენა დაესწრო წარმოდგენას, რომ, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწიც არსად-ღა ჩავარდებოდა თეატრში.

*** შარშან ზაფხულს ქალაქის გამგეობამ თავისს დამფასებლებს მიანდო ხელმეორედ დაეფასებინათ არწრუნისეული ქარვასლა, რომელიც სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობამ გადააკეთა ამ რამდენისამე წლის წინად. ადრე ეს ქარვასლა დაფასებული იყო 350.000 მანეთამდე და ბანკი დაფასების ხარჯს აძლევდა ქალაქს წელიწადში სამას თუმნამდე. ახალის დაფასებით ქარვასლის ღირებულება იანგარიშეს თითქმის ნახევარ მილიონი და ხარჯი [illegible] და-ათ თუმნამდე. ბანკის მმართველობამ უკმაყოფილობა განაცხადა ასეთის გადაჭარბებულის დაფასების გამო. მაგალითად, ქარვასლის ბალი წინად დაფასებული იყო ორას თუმნად, ეხლა დააფასეს ათასშვიდას თუმანდ, თეატრი თავისის ელექტრონით იძლევა წელიწადში იჯარით სულ 5500 მანეთს, ხოლო დამფასებლებს უანგარიშნიათ შემოსავალი თეატრისა შვიდასი თუმანი და ელექტრონის მაშინისა ცალკე შვიდასივე თუმანი და ასეთის ანგარიშით ერთი-ათად აუღიათ საფასური ამ შენობებისა. მმართველება სთხოვდა ქალაქის გამგეობას, რომ დაერღვია ეს უსამართლო დაფასება, მაგრამ გამგეობამ ამ დღეებში მისწერა ბანკსა, რომ ათის დღის განმავლობაში უნდა გეჩივლაო და, რადგან ვადა გადააცილე, შეუძლებელია დაფასების გაუქმებაო. ამ სახით, ბანკს შეაწერეს ას-ორმოც-და-ათ თუმნამდე მეტი გარდასახადი, ვიდრე აქამდე იხდიდა, ბანკის გამგეობა ახლა საბჭოს წინაშე აპირობს ჩივილს ქალაქის გამგეობასა.

*** ამ უკანასკნელს ხანებში ამიერ კავკასიის რკინის გზით 40 ვაგონი ღვინო გაგზავნილა საზღვარ გარედ კახეთისა და ქართლიდგან და ოთხი ვაგონიც კაკლის ნუჟრი კახეთისა და ქიზიყიდამ.

*** ოთხშაბათს, ამ თთვის 5, ღამის პირველს საათსა, 54 წუთსა და 32 წამზე ტფილისზე მეტეორმა გადაიარა. მეტეორმა ჩრდილოეთიდგან სამხრეთისაკენ გადიარა და სოლოლაკის მთას მოეფარა. დამსხვრეულის ვარსკვლავის ნატეხი, რომელიც მი-[illegible]ზე მიდიოდა, კარგა მოზდილი იყო და სანამ მთას მოეფარებოდა, ქალაქი ორი-სამის წამის განმავლობაში გაკაშკაშებული იყო. ამ სინათლესთან მთვარის შუქი სიბნელედ ეჩვენებოდა კაცს.

*** სუხუმსა და ნოვოროსიისკს შუა გაზაფხულიდგან დაიწყება გზატკეცილის გაკეთება. მუშებად უმეტესად რუსეთიდგან დამშეული გლე-

## ფელეტონი

### ბახტრიონი

#### I

დღემ დაიხურა პირ-ბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები.
აღარ შფოთობენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზარები,
გული ვერ მიუუფხანიათ,
ცრემლი სდით ალაზნიანი;
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულ-მკერდი კლდიანი.
გაცოცხლდა, ცას ემუქრება
ღრმა ღელე წყარო-ფშიანი.
გადაიკრიფნენ ღრუბლნი,
ქუჩი გაწირეს ცვრიანი.
გაივსო რძითა მთათ ძუძუ,
დაუშრომელად რძიანი.
მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი.
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი!
თქვენგანა გულობს ეს გული
შიგ გრძნობა უდულს ღვთიანი.
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,
ლალიან-ბარაქიანი.
ნუმც გაჯავრდება პირი-მზე,
ნუმც დამწყევლიან იანი,
რომ იმათ დედის ძუძუთა
ვსუქდები ცოდვილიანი.
მეც მიგემებავ იგი რძე,
რითაც თქვენ დაიზარდენით;
თქვენავე გარგებსთ, დობილნო,
თუ უხვად დაიხარჯენით!

#### II

გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრად,
მუხა-იფნებით ფარული,
იქ ჰყრია დიდი ლოდები
შავ-ფერი, ციხის კარული,
ლიბო დათხრილი კოშკები,
უმზეოდ ჩამოგვალული.
ბერი ტიროდა დიაცი,
ისმის ქვითინი ქალური.
რამდენი სიპები აწყვავ,
მოსჩანს აკლდამის პირები.
გმირთა სამარეს, როგორც ხატს,
სამთხვევლად დაველირები.
ეს ფშაველთ სალოცავია,
დღეს დღეობაა ამისა.
არ ვიცი თვალი მატყუებს,—
მიშლის წყვდიადი ღამისა!
ხალხს ნუ თუ დაჰვიწყებია
წმინდა გიორგი თავისა?
ეს რაღაც ცუდს საქმეს ჰნიშნავს,
მომასწავებელს ავისა.
საჯარეს დიაცს რა უნდა,
არ თუ ეშინის დავისა?
მარტოს აუნთავ სანთლები
და ხატიც უდიდებია,
მარტოს დაუკლავ საკლავი,
თითონვე უტყავებია,
მარტოდ მარტოკას დიაცსა
ხატ-ღმერთი უხსენებია.
აქ არ ხევის ბრის ხმა ისმის,
არსად ფშაური ღრეობა.
ვინ გიჟი იტყვის იმასა,
რომ დღეს აქ იყოს დღეობა?!
ბრალადა ბჟუტავს სანთელი,
ცრემლი წინ უდგა გუბედა.
მტრისამც დედასა გველი ჰკბენს
და ჩაუძვრება უბედა,—
გმირთა აღმზდელთა ძუძუებს
გაიხდის თავის ბუდედა!

#### III

უცბად გაისმა ფეხის ხმა,
კაცი გამოჩნდა უცხო რამ,
ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილი,
ერთი ყარიბი, უშნო რამ.
სანთლისა შუქზე წამოდგა
დატანჯულისა ფერითა,
მხარზე თოფ-გადაგდებული
გაბუდებულის წვერითა.
დანჯღრეულ ქარქაშიანი
ხმალი წელს ერტყა წნელითა.
ადვილად საცნობი იყო
კაცი ფშაურის ერითა.
დადგა, დაეყრდნო თოფის ტუჩს,
ცრემლებს იწმენდდა ხელითა,
იზიარებდა ბებრის დარდს
სახის შახმუჭვნით ხმელითა.
თავისს დარდებში გართული
დიაცი მიჰხვდა ვერასა,
ტიროდა, ემდურებოდა
ხოშარელთ ბედის წერასა.
გულს იმჯილავდა, ჰკითხავდა
ნანგრევებს ცრემლის დენითა:
„სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კვნესა რად ისმის ჩვენითა?
როდემდის უნდა ვსტიროდეთ,
მიწა ვასველოთ ცრემლითა?
ან მიწა რად არა ძღება
დამდნარის გულის წვენითა?!
როდემდის უნდა ვიბანოთ
სისხლით პირი და ხელები?
შვილთა მაგივრად დედებსა
ძუძუს გვიწოვდეს გველები?!
როდემდის უნდა ფეხითა
ვლახოთ ჩვენივე წელები,
ცეცხლები გვერტყას ათასი,
გულის გონების მწველები?!
ვაჰმე, გაგვიწყდა, აღარ გვყავს
ამ ფშავის ხევის მცველები!"
დიდხანს უცქირა უცნობმა
მოხუცის მოთქმას მწარესა;
მიჰხვდა, რომ უბედურება,
სწვევია ფშავის არესა.
ათრთოლებულის ხმით ჰკითხავს
უცნობი უცნობს დიაცსა:

მგზავრი

ვინა ხარ, ნეტარ, დედაო,
ვისას რას მოსთქვამ ზიანსა?
ვერ გაიგონა ნათქვამი,
ისევ ზარს ამბობს ხმიანსა...
შენ გეკითხები, დედაო,
რად ჰსვამ ბალღამით ფიალსა?

სანათა (ბებერი)

მადლობა ღმერთსა, თუ კიდევ
კაცი ვიხილე თვალითა.
ადგა და ჯოხზე დაეყრდნო
ხანხალით, ძალის-ძალითა.
მოხვედი, შვილო, მშვიდობით.
შვილო, წყალობა ხატისა!
აღარ მეგონა, თუ მამრი
კიდევ მიწაზე დადისა.

ხები არიან მოწვეულნი, რომელნიც უკვე მისულან დღეს სუხუმში.

*** მისი უმაღლესობა პრინცი ლუი ნაპოლეონი, რომელიც ამ ჟამად პიატიგორსკში იმყოფება, აპრილის დამლევს აპირობს სამეცნიერო აზრით მგზავრობას ოსეთსა და საჩეჩნოში.

*** ამ თთვის 1, როცა საქონლის მატარებელი № 52 გამზადებული იყო სადგურს ხაშურში და მხოლოდ უნდა მიეყენებინათ ორ-ლულიანი ორთქლ-მავალი და ბათუმისკენ გაემგზავრებინათ, მემაშინემ, გვარად ტუროვმა, გამოაქანა ორთქლ-მავალი და ისეთ ნაირად დააჯახა ნავთის ქვაბებს, რომ ორი ქვაბი სრულიად დაამსხვრია და ერთიც ლიანდაგიდგან გადააგდო. შეიბრალა ღმერთმა და კონდუქტორმა, რომელსაც უნდა გაეძლო, ვერ მოასწრო შესვლა ვაგონთან და ამის გამო სიკვდილს გადარჩა.

*** ტფილისის ცხენის რკინის გზას გაუკეთებია აბონემენტები მოსწავლეთათვის, რომლის ფასიც საკაოდ დაკლებულია. აბონემენტების ფასი: 3 კაპეიკიან ბილეთების 30 ცალი ეღირება 60 კაპ., 5 კაპეიკიან ბილეთების 30 ცალი—90 კაპ.

*** გაზ. „ნორ-დარ“-ის სიტყვით, იმ ვალის გადახდას, რომელიც ამ სეზონში სომხურის თეატრის დასს ედება, დრამატიულის კომიტეტის წევრნი ბ-ნნი ეჯუბიანი და ნიკოლოსიანი კისრულობენ.

*** ფოთში ამ ჟამად იმყოფებიან [illegible] მომადგენელნი, რომელნიც სიმინდსა ყიდულობენ. სიმინდი ძალიან დაბალ ფასად იყიდება.

*** ამ ბოლო დროს სპარსეთში მომხდარ უწესობის შემდეგ, რომელიც თუთუნის მონოპოლიის საქმემ ასტეხა, ავღანისტანში სპარსელები ინგლისელებისაგან აღარაფერს ყიდულობენ თურმე და უფრო რუსეთის საქონელს ეტანებიან. რუსეთის სოვდაგრებს ამ ჟამად დეპეშით მოუთხოვნიათ ტფილისისა, მოსკოვისა და პეტერბურგიდგან, საქონელი მოგვაშველეთ გერათშიაო. ამ თხოვნის თანახმად გუშინ ტფილისიდგან დიდ-ძალი საქონელი გაგზავნეს რკინის გზით ბაქოში, რომელიც გერათში უნდა წაიღონ.

*** ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას უკვე გადაუწყვეტია, ახალი შტო გაიყვანოს ერევნის მოედნიდგან თათრის მოედნამდე. ამ საქმის შესახებ ინჟენერს კოსს უკვე გეგმაც შეუდგენია. ახალი შტო გაივლის შუა ბაზარზედ, მენახშირების ქუჩაზე, მერე აკიმოვის ქუჩაზე, სიონის ქუჩაზე და მანთაშოვის ქარვასლაზე. ამ ქარვასლის ერთი ნაწილი და ორიოდე დუქანი უნდა შესყიდულ იქმნას, დაინგრეს და გზა ისე გაკეთდეს, ასე რომ სიონის ქუჩიდგან ცხენის რკინის გზა პირდაპირ თათრის მოედანზედ იქნება გაყვანილი. ამ გეგმას უსახელო საზოგადოება ამ დღეებში წარუდგენს ქალაქის საბჭოს განსახილველად. („ნოვ. ობოზ“).

*** იგივე გაზეთი ამბობს, ქალაქის პირველს ნაწილში, ვერის აღმართზე, მეხუთე ნომრის სახლში ეს მეორე მაგალითი მოხდა საღათას ავადმყოფობისა. ავადმყოფი სამკურნალოში გაჰგზავნეს დ სახლში დეზინფექცია მოახდინესო.

*** სპარსეთიდამ სწერენ გაზეთს „Т. Л.“-ს, რომ სპარსეთის შაჰი ხელმეორედ ინფულენცით გახდა ავადაო. თეირანსა, თავრიზსა და მრავალს სოფელში ინფლუენცა საშინლად მძვინვარებსო.

*** იძავე გაზეთს აცხობებეხ, რომ არზრუმში საშინელი სახადი გაჩენილა, რომელიც მრავალს ხალხსა ჰხოცავსო. ინფლუენცაც ხელს უწყობს თურმე ამ საშინელს ავადმყოფობას.

*** თებერვლის 5, საღამოს 5 საათზე, სოფ. ხირხანისის მცხოვრებელმა, მზარეულმა ალექსანდრე ხომასურიძ[illegible], 28 წლისამ, ალექსეევის ქუჩაზე თავის ძმის სადგურში თავი მოიკლა.

*** ამავე დღეს სოფ. კარბის მცხოვრებელმა რევაზ ანდრიას ძემ ბასილოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ახალ არსენალის ქუჩაზე ჩემის სადგურიდამ სხვა-და-სხვა დროს 140 მანეთის ტანისამოსი და ერთიც 90 მანეთის თამასუქი მომპარესო. ეჭვი არივისზე არ გამოუცხადებია.

*** ამას წინად გამოცხადებული იყო, რომ ბერეჟიანის სახლში სადგომი გაქურდეს და ა. ფერაძეს სხვა-და-სხვა ნივთი და სხვათა შორის შევერცხლილი ხმალიც მოჰპარესო. ეხლა აღმოჩნდა, რომ ხმალი სხვაგანა ჰქონია შენახული და დანარჩენი ნივთები-კი მართლა მოუპარავთ.

## მთავრობის განკარგულებანი

ტიტულიარნი სოვეტნიკს: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელეს, თავ. მელიქოვს და ბათუმის ოლქის ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის საქმეთა მწარმოებელს ბ-ნს გოცირიძეს 1891 წლის 13 ენკენისთვიდამ ებოძათ კოლლეჟსკი ასსესორობა.

## გაკვრით

მოკლე ეპისტოლე მამათა და ძმათა სემინარიასა შინა კურს დამთავრებულთა მიმართ.

ქრისტეს მიერ საყვარელნო მამანო და ძმანო! გლოცავ თქვენ, რამეთუ ხართ ლამპარნი გაუქრობნი და ჭეშმარიტნი მქადაგნი. გიხაროდესთ და მხიარულ იყვენით, რამეთუ ღვაწლსა და შრომასა თქვენსა ელის საფასე დიდი. უწყით რამეთუ კანონისამებრ ახლისა აღთქმისა არვის ხელეწიფების დაპყრობად ჩინებულისა მრევლისა და ყოფად ბლაღოჩინ[illegible], გარნა მხოლოდ მღვდელთა სემინარიასა შინა კურს დამთავრებულთა. მადლმან სულისა წმიდისამან დაიმკვიდროს თქვენ შორის კეთილ წარსამართებლად თქვენდამი მონიჭებულ უფლებათა. გარნა ძმანო,

სემინარიას ამბობენ,
სამღვდელო კურსი არისო;
იმაში გამოზდილებით
მთელი ქვეყანა აივსო.
ზოგი დიაკვნობს, ზოგი მღვდლობს,
და ზოგიც ბლაღოჩინობსო,
ერთმანეთს ემუშტრებიან,
სუყველა პოპლოჩინობსო.
ყველას სწადს ბლაღოჩინობა,
ადგილი აღარ არისო;
და უამისოდ სტუდენტი
სულ გაბუტვილი დადისო...

ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს პირითა თვისითა. ძმანო, ნუ იყოფით მთავრობის მოყვარენი და დიდების მეძიებელნი. მოიხსენეთ სიტყვა იგი მაცხოვრისა, რომელსა იტყვის: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ „და კიდევ: „რომელსა უნდეს თქვენ შორის უმფროს ყოფა, იყოს თქვენდა მსახურ“.

ეკრძალენით თავთა თქვენთა და ყოველსავე სამწყსოსა თქვენსა, რომელსა ეგე სულმან წმიდამან დაგადგინათ მოღვაწედ და მწყსად ეკკლესიისა უფლისა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა (საქ. მოც. თ. 20 მ. 28).

იყვენით ტკბილ სიტყვითა, ვითარცა თაფლი, ხოლო მოძღვრებითა და ჭეშმარიტის ქადაგებითა სასმენელ საამო. იყვენით მოწყალენი დ მართლმსაჯულნი, განსჭვრეტდეთ ბრწყინვალითა თვალითა და ღმობიერითა გულითა თქვენითა ღვაწლსა და შრომასა უმცირესთა ძმათა თქვენთასა და კეთილი ღვაწლი მათი ნუ იქმნების თქვენ მიერ დაფარულ და შედგმულ ხვიმირსა ქვეშე. ნუ იუნჯებთ საუნჯესა ცეცხლისასა, რომელიც შეშჭამის მღრღილმან და წარიტაცის მპარავმან. იყვენით ფრთხილ, ვითარცა გველნი, და უმანკო ვითარცა ტრედი.

ესრედ ბრწყინებდინ ნათელნი თქვენნი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქვენსა ზეცათასა. ამინ.

ვინმე რაჭველმა გიძღვენით
ეს სიტყვა მცირე ლექსიო,
გლოცავ, მამანო და ძმანო,
გქონდესთ რიგი და წესიო!

ვინმე რაჭველი

26 იანვარი

## რუსეთი

ამ უკანასკნელს დროს მრავალგვარი საჩივარი ისმის ერობათა შესახებ, აქეთ-იქითგან ბევრს რასმე უჩივიან და აბრალებენ ერობას. აი პირველი ამ გვარი სამდურავი. ერობამ ვერ შეამჩნია თავისს დროზე, რომ ხალხს დიდი განსაცდელი მოელოდდა, და ამის გამო ვერც არა ილონა-რა წლევანდელის უბედურების თავიდგან ასაცილებლადაო; თავი მიუშვა და აი დღეს ხომ ყველანი ჰხედავენ, რა ყოფაშიაც არის ხალხიო. რუსეთის საზოგადოების ზოგიერთი დასი, რომელსაც ერობა ყოველ სიბოროტის დედად მიაჩნია, გაიძახის, ერობა სრულიად უნდა მოისპოს და ან, თუ არ მოისპობა, ისე მაინც უნდა შეიწროვდეს, რომ საზოგადოების დაწესებულება-კი არ იყოს, არამედ დაწესებულება კერძოდ რომელისამე წოდებისაო. ეს აზრი ამ ერობათა მოწინააღმდეგეებს მხოლოდ იმითი აქვთ დასაბუთებული, რომ ერობათ სასოფლო მეურნეობის საქმეში მართლა რამდენიმე შეცდომა მოუხდათ.

ეს სამდურავი, სულს ქვეშ რომ ვსთქვათ, მართლა ცოტაოდნად საფუძვლიანია: ერობათ ვერ შეიგნეს უმთავრესი საეკონომიო საჭიროებანი ხალხისა და ან თუ შეიგნეს, ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქციეს. გამწვავებული უბედურება ხალხისა ერობამ მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა მწერლობამ—ჟურნალ-გაზეთებმა მიუთითეს ამ საგანზედ; სწორედ მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო ერობამ შესწავლა ხალხის საეკონომიო საჭიროებისა და შესაფერ ღონისძიებათა ხმარება ხალხისავე ნივთიერ საკეთილდღეოდ.

მაგრამ იმის გამო, რომ ერობას შეცდომა მოუვიდაო, ნება არავისა აქვს სთქვას, ერობა უნდა აღიგავოს, ღირსი არ არის არსებობისაო. თითქმის 30 წელიწადია, რაც ერობა დაარსდა რუსეთში და ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოსაცა და საზოგადოებასაც ბევრი ისეთი სიკეთე მოუტანა, რომ სრული უფლება აქვს, კვალადაც არსებობდეს.

როდესაც, სურვილისამებრ აწ განსვენებულის იმპერატორისა, ერობამ პირველად დაიწყო თავისი მოქმედება, წინ დიდი და საძნელო გასაკეთებელი საქმე დაუხვდა. ხალხი სრულიად განუვითარებელი და უმეცარი

---

მგზავრი

შენიმცა მწყალობელია
შენთა შვილთა და ქმარისა.
ერთს გკითხავ, დედა-შვილობას,
მითხარ პასუხი ამისა:
დიაცს ვინ მოგცა ის ნება,
საქმე აკეთო მამრისა?
ვფიქრობ, დროება დამდგარა
იმ მეორ მოსვლის წამისა.
ხომ არ აყრილან ფშაველნი,
ჩქამ რო არ ისმის ხალხისა?
როგორც მინახავ, არ არის
ლხინი კაცის და ქალისა.
შენობა მინდა გავიგო,
ვარ თქვენის მიწა-წყალისა.

სანათა

ჩემ რა იკითხვის, დედილას,
უკლოსი ბედით-შავისა,
დავკარგე ყველა თვის ტომი,
ვისაც-კი მყვანდა თავისა,
წარღვნა დაგვეცა ხოშარელთ
წყეულის თათრის ჯარისა.
მამრთა შააკლეს მტერს თავი,
ხსენება გასწყდა კაცისა.
გასუქდა ხოშარის გორი
სამარეებით ხშირითა.
ვინც დავრჩით ცოცხლად დიაცნი,
დახოცილებსა ვსტირითა.
ჩვენ რო გვნახავენ მტირალთა,
ბალღებიც ატირდებიან;
გლოვის მიზეზსა გვკითხავენ,
დედებს რო გვაკვირდებიან.
არ მიიღებენ პასუხსა,
უფრორე აყვირდებიან,
ძუძუთ ვათირებთ ბალღებსა,
რძისთვის რო აბირდებიან!
რად გვინდა დედებს შვილები,
რაზე ვსწვალდებით ნეტავი,
გაჰზდი, გალაღებს ვაჟკაცი
ლამაზი გორის მდრეკავი;
გალაღებს, მაგრამ ტყუილად:
დღეს მთელი, ხვალე მკვდარია;
მოვა, წაიღებს უეცრად
სისხლისა ნიავ-ღვარია.
პირ-სისხლიანის მსინჯველი
შვილის დუშმანიმც არია.
სანათაი ვარ მე, შვილო,
აფხუშოური ქალია.
აქა ვარ გამოთხოვილი,
ბერიძე მყვანდა ქმარია.
შვიდი გავზარდე ვაჟკაცი,
თითო ლომისა დარია.
შვიდივ გამიწყდა ერთს დღესა,
მამაც იმათთან მკვდარია.
ხოშარის გორზედ დავმარხენ,
თავზე დასტირის ქარია.
ორს კვირას საფლავებ ვსთხარე,
იმათ თავ-შესაფარია.
რა. ეს სთქვა ამოქვითინდა,
ღვარა ცრემლები მწარია,
ჩემს ქმარ-შვილებთან ბევრს სხვასა
გამოეჯარა კარია.
ვინ ემსახუროს მაშ ხატსა,
მაშ ვინ აუნთოს სანთელი,
მაშ ვინ დაგვიკლას საკლავი,
ვინ მოაკმიოს საკმელი?!
უკაცურთ კაცობა გვმართებს,
მანამ სული გვჩრავ პირშია.
ხატიც შაგვინდობს ცოდვასა,
რო გვნახავს გასაჭირშია.
ეხლა ის მითხარ, დედილას,
სადიური ხარ, ვისია,
იქნება ჩვენობა გეთქმის,
იქნება იყო სხვისია?

მგზავრი

დედაო, დედა-შვილობამ,
მეც ბევრი ვნახე ჭირია.
ოცს წელს სრულ სხვის შიგადა ვარ,
სამშობლო გამიწირია.
მათურელი *) ვარ ძირადა,
სახელად მქვიან კვირია.
ჩემფერა უკეთურები
ყუნჭებიც ბევრი ჰხირია.
ფშავს უბინადრო რჩენილი
წაველ საძებრად ბედისა.
ვაჰ, მოგონება ჩემის დღის
დამსხმელი არის რეტისა.
მზიდველი არი ეს ქედი
ტანჯვისა მეტის-მეტისა.
ჩემი ამბავი შორს წავა,
მოკლედ რო მოვსჭრა სჯობია,
ვინ არ გეტყოდა ჩემს ამბავს,
ვინცა-კი ჩემი მცნობია,
ობლობის, ბეჩაობისა
დღესაც ზედ მაძე ობია.
სად სიცივეში ვგდებულვარ
ორ-კვირაობით მშიერი.
არც ისე დროულიცა ვარ,
უცხოს ვგონივარ ხნიერი.
ოცი წელია, წყემსად ვარ,
თუშეთს, უცხოსა მხარესა
და ფშავის-ხევის სტუმარსა
მარტო ვხედავდი მთვარესა.
საბაროდ გადმავალთა
ამბავს ვკითხავდი წეროთა,
რა წერილობას გაგვიწევს,
თოვლზე ამბავი ვწეროთა?
ოცს წელს მიწა მაქვ ლოვინად,
ცა მახურია საბნადა.
ავდარში შავი ნისლები
ტანზე მეხვევა ნაბდადა.

სანათა

მიკვირს ან ეხლა რო მოხვალ
ოცს წელს ნამყოფი სხვაგანა?

მგზავრი

საქმე გაჭირდა, დედილო,
ურჯულო თათრებისგანა;
დათარეშობენ, კახეთი
მისცეს ქარსა და ნიავსა,
საცა ჰსურთ ყურძენსა სჭამენ,
საცა ჭანჭურს და ქლიავსა.
აწიოკებენ ქალ-რძალსა,
ნამუსსა ჰხდიან ძალადა.
ჰკრეფავენ ურჯულოები
სილამაზესა ლალადა.
არა ჰზოგავენ, დედილამ,
ვინც-კი მოუათ თვალადა.
მთელი კახეთი ქცეულა
ჩიქილა მოხდილ ქალადა.
არა სჩანს ხელის შამქცევი
მტრის ამომყრელი ჯავრისა,
კაცი არ ჩნდება შამყრელი
და წინ გამძღოლი ჯარისა.
იქ ჩვენთანამდიც მოდიან,
ცხვარსა ფარობით გვტაცებენ.
არ ვინ გადურჩათ რჯულ-ძაღლთა,
ყველას ბეგარას ადებენ.
ვისაც ჰკვლენ გზა-გზის პირებზე,
თავებს მარგილზე აგებენ.

*) თემია

დაჰხვდა, ხოლო ზრუნვა ერის გასანათლებლად დაეკისრა ერობას. რა კითხვა უნდა, ერობას პირველად ამ საგნისთვის უნდა მოეკიდნა ხელი და მართლაც ამას შეალია თავისი ძალ-ღონე. და აი სწორედ ამ დროს ცალმხრივად გატაცებულს ერობას დაავიწყდა ხალხის ნივთიერი საჭიროებანი, რაიცა არა ნაკლებ საყურადღებოა განათლებაზე.

ერობა მთლად სკოლების დაარსებასა და გამრავლებას მოუნდა, იმაზე მეტსაცა სცდილობდა ერობა ამ საგანზე, რასაც საჭიროება მოითხოვდა. ამ ნაირს გატაცებას, ეჭვი არ არის, დანაშაულად არავინ ჩაუთვლის ერობას. საერობო სკოლებმა თავისი საქმე გააკეთა, საკმაოდ გაავრცელა სწავლა-განათლება ხალხში. ხოლო, როცა ერობა სკოლებს ამრავლებდა, ერთი გარემოება დაავიწყდა: ვიდრე ხალხს სწავლას დააწყებინებდეთ, საჭიროა ჯერ გააძღოთ, ნივთიერად უზრუნველ ჰყოთ, თორემ სწავლა-განათლება ფეხის მოსაკიდებელს ნიადაგს ვერ იპოვნის. ამისი მაგალითი არა ერთი და ორია.

იმედია, წლევანდელის უბედურობით გამონაცადი ერობა ამიერიდგან სხვანაირად მოიქცევა და ყოველის ღონის ძიებით ეცდება ერის ნივთიერად უზრუნველყოფას. უპირველესად ყოვლისა საჭიროა ერობამ შეიგნოს და შეისწავლოს აწინდელი ეკონომიური ვითარება ერისა და მისი საჭიროებანი და, როცა ამ საქმეს შეიგნებს, მაშინ კითხვა არ უნდა, სხვა-და-სხვა ღონის ძიებასაც ადვილად აღმოაჩენს მეურნეობისა და ეკონომიის დასახმარებლად. ამ გვარს მოღვაწეობას ერობისას საზოგადოებაცა და მთავრობაც ყოველთვის სიხარულით დაუხვდება და ხელსაც შეუწყობს შეძლებისამებრ.

## დალლა და ქოშინი

25 იანვარს პეტერბურგის საპედაგოგიო მუზეიში ქ-მა მ. მ. მანასეინმა წაიკითხა საყურადღებო ლექცია: „დალლა და ქოშინი“. ლექციას იმდენი ხალხი დაესწრო, რომ დარბაზში ტევა არ იყო. ამ ლექციის შემოსავალი დანიშნულია განსვენებულის პროფესორის სერგეი პეტრეს ძის ბოტკინის ფონდის სასარგებლოდ.

ქ-მა მანასეინმა თვალი გადაავლო იმ ისტორიულს ცნობებს, თუ როგორი მეთოდი იყო მეცნიერებაში საკმარისად მიჩნეული წარსულს საუკუნეში და აუხსნა მსმენელთ, რომ ეხლა მე-XIX საუკუნეში მეცნიერება სცდილობს, ყველა საგნის შესახებ ნამდვილი ცნობები შეკრიბოს და გამოიძიოს. შემდეგ ქ-ნი მანასეინი შეეხო იმ საგანს, თუ რა ცნობები აღმოუჩენია მეცნიერებას ადამიანის დალლა და ქოშინის (ნაფაზი) შესახებ. ქ-მა მანასეინმა სთქვა: მახსოვს, პროფესის თარხნიშვილის და დოქტორის ბოლუსლავსკის კვლევა-ძიებამ აღმოაჩინა, რომ ერთის კუნთის დალლა, მაგალითებრ თითებისა, ადამიანის მთელს სხეულში შესაბამს ცვლილებას მოახდენს ხოლმე. დამტკიცებულიაო აგრეთვე, სთქვა ქ-მა მანასეინმა: რომ ვინც შრომა-გარჯაშია, იმისთვის უფრო შემრგოა, მარგებელია საჭმელ-სასმელი. მეორეს მხრით, სიმშილი, უძილობა, მოწყენა, გულის გადაღევა ძალ-ღონეს ულევს ადამიანის ძარღვესს, მხიარული გუნება, პირ-იქით, ძალ-ღონეს უმატებს. დოქტორმა კონაპასევიჩმა ამას წანად გამოიკვლია, თუ რა არის მიზეზი, რომ ადამიანი დილით უფრო უღონო და უძლურია, ვიდრე შემდეგ. აღმოჩნდა, რომ აბანო, სითბო და თბილს ოთახში ძილი ძარღვებს სისხლს აკლებს და ასუსტებს. სიცივე-კი ძარღვებს სისხლს უმატებს და ამაგრებს.

შემდეგ ქ-ნმა მანასეინმა განუმარტა მსმენელთ ქოშინის მიზეზი და დაამტკიცა, რომ ქოშინი დაღლის შედეგიაო და ეს აზრი შემდეგის მაგალითებითაც დაასაბუთა. როცა მუშა დიდს სიმძიმეს იკიდებს, ფილტვები ჰაერით ევსება, სუნთქვა ეგუბება, სახე უწითლდება, შუბლისა და კისრის ძარღვები ებერება, სუნთქვა და სისხლის მოძრაობა რამდენსამე ხანს შეჩერებული აქვს. ფილტვები სისხლით ივსება და გულზე აწვება. სუნთქვა და სისხლის შეჩერება ცუდად მოქმედობს ადამიანის სხეულზე; სხეულში მომეტებული ნახშირის სიმჟავე გროვდება და ადამიანს ქოშინი ემართება. შემდეგ ქ—მა მანასეინმა სთქვა, რომ, მართალია, ადამიანმა ეხლანდელს დროში მძიმე სამუშაო უფრო გააადვილა, მაგრამ ზოგიერთი ჯაფა, რომელიც ჩვენ უფრო ადვილი გვგონია, უფრო მავნებელია ადამიანისთვის. მაგალითად, რამდენი კაცია ეხლა იძულებულ ყოველ დღე მეოთხე და მეხუთე სართულში ასვლას. კიბეზედ ასვლა-კი დიდს ჯაფას შეადგენს ადამიანისთვის, თუმცა ჩვენ ძლიერ გვეადვილება. ოთხ სართულიანის სახლის სიმაღლე რომ $9^1/_2$ საჟენად ვიანგარიშოთ, ადამიანის სიმძიმე $4^1/_2$ ფუთად, კიბეზედ ასვლის დროდ-კი 2 წამი ჩავთვალოთ, აღმოჩნდება, რომ ადამიანს კიბეზედ ასვლით ისეთივე ჯაფა მოსდის, როგორიც დასჭირდება, ორის წამის განმავლობაში რომ 100 გირვანქიანი ტვირთი ერთის არშინის სიმაღლეზედ ოც-დათექვსმეტჯერ ასწიოს. უფრო მარტივად რომ ვსთქვათ, $9^1/_2$ საჟენის სიმაღლის კიბეზედ ასვლით ადამიანს ისეთივე ჯაფა ეძლევა, როგორიც ორის წამის განმავლობაში დასჭირდება, რომ 90 ფუთის სიმძიმე ამავე სიმაღლეზედ აიტანოს. ეს მაშინ, თუ კაცი ერთხელ ავიდა კიბეზედ, და თუ დღეში 4-5 ჯერ ავიდა, ამ შემთხვევაში-კი ისეთივე ჯაფა მოუნდება, რომგორიც 300-400 ფუთის ერთის ადგილიდგან მეორე ადგილზედ გადატანას უნდა. ამიტომ საკვირველი არ არისო, სთქვა ქ-მა მანახეინმა: რომ ჩვენს დროში უფრო გავრცელებულია გულისა, ფილტვების და თირკმელების ავადმყოფობა, ვიდრე უწინდელს დროში, როცა მაღალს სახლებს არ აშენებდნენ.

დასასრულ ქ-მა მანასეინმა სთქვა, რომ მომეტებული ჯაფა ადამიანს ავნებს იმიტომ, რომ ჯაფის გამო სხეულში მავნებელი ნახშირის სიმჟავე გროვდება და უფრო მაშინ ავნებს, როცა მომეტებულის შრომისგან ადამიანის სხეულს მეტი ძალ-ღონე ეხარჯება, ვიდრე ემატება სასმელ-საჭმელისაგანაო.

# უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** პეშტში საპარის სამინისტრომ ვენგრიის პარლამენტი დაითხოვა იმ იმედით, რომ ახალს არჩევანებზედ მთავრობის მომხრენი უფრო ბევრნი იქნებიანო. ეს იმედი საპარის, როგორც ეტყობა, უცრუვდება, რადგან ახალს არჩევანებზედ, რამდენადაცა სჩანს, მთავრობის მომხრეთა რიცხვი, თუ არ იკლებს, არას იმატებს უწინდელთან შედარებით. ვენიდგან მოსული 20 იანვრამდე ცნობები ამტკიცებენ, რომ დეპუტატთა პალატის წევრი, სამინისტროს მომხრე, 234-მდე ამოურჩევიათ, მაგრამ მთავრობისთვის თორმეტიადგილი ოპოზიციას წაურთმევია პალატაში. დეპუტატთა რიცხვი ვენგრიის სეიმში სულ 453 უნდა იყოს. ამ რიცხვიდგან უნდა გამოირიცხოს 40 დეპუტატი კროაციისა, რომელიც უკვე ამოირჩია ზაგრების სეიმმა. მადიარების დეპუტატი ამ არჩევანებზედ სულ 413 უნდა ამოერჩიათ. აშკარაა, ხმის უმრავლესობა მთავრობის მხარეს იქნება, რადგან საერთო რიცხვის ნახევარზედ მეტი უკვე დაუჭერიათ სამინისტროს მომხრეებს, 234 ადგილი. ძნელად თუ ამ უმრავლესობამაც-კი უშველოს რამე საპარის სამინისტროს, რადგან უწინდელს პალატაშიაც მთავრობის მხარეს უმრავლესობა იყო, მაგრამ მაინც დაითხოვეს, იმედი არა ჰქონდათ, რომ გაეწყოთ რამე საოპოზიციო დასების წინააღმდეგ, რომელნიც ვენგრიისთვის სრულს საპოლიტიკო ავტონომიას თხოულობენ. მაშასადამე, ეჭვი არ არის, რომ ვენგრიის სეიმში ისევე დაიწყება დაუსრულებელი ბრძოლა ვენგრიისათვის ავტონომიის მსურველთა და მთავრობის დასს შორის, ის ბრძოლა, რომლის გამოც საპარის სამინისტრო ისეთს გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. ულტრა - მადიარები აღარც-კი ჰმალავენ, რომ აზრად აქვთ, პოლიტიკურად ავსტრიისაგან ვენგრია განაცალკევონ ⴃ იმის უფლება მოიპოვონ, რომ საკუთარი საერთაშორისო პოლიტიკა ჰქონდეთ, საკუთარი საერო ჯარი ჰყავდეთ. ისინი გულით არიან მოწადინებულნი, ისეთი უფლება მოიპოვონ, რომ „ვენგრიის მეფის“ ქვეშევრდომთ შეეძლოთ უარი უთხრან ავსტრიის მთავრობას და სამხედრო დახმარება არ აღმოუჩინონ, იმისდა მიუხედავად, რომ „ვენგრიის მეფე“ და „ავსტრიის იმპერატორი“ ერთი და იგივე იქნება. ჯერჯერობით-კი ძნელად სათქმელია, თუ საპარის სამინისტრო როგორ მოუხერხებს და ქვეყნის საქმეებს როგორ გაუძლვება ეხლა, როდესაც პარლამენტში მომხრენი და თანაზიარნი თითქმის უფრო ნაკლებადა ჰყავს, ვიდრე დათხოვნილში ჰყავდა.

## ბიბლიოგრაფია

Iерархія всероссійской церкви отъ начала христіанства въ Россіи и до настоящаго времени. Н. Д. Москва 1892 годъ.

წიგნი, რომლის სათაურიც რუსულად მოვიყვანე, შედგენილია რუსეთის ისტორიის მცოდნე კაცის მიერ. შემდგენელს აზრად ჰქონია მკითხველისთვის წარედგინა სია რუსეთის მღვდელ-მთავართა ძველის დროიდგან 1891 წლამდის. 1783 წ., როგორც ცნობილია, ჩვენი მეფე ერეკლე II შეეკრა რუსეთის ხელმწიფეს ეკატერინე მეორეს ხელწერილით და მით აღუთქვეს ერთმანეთს მეგობრობა და დახმარება. ზემოხსენებული წიგნის შემდგენელი ამ 1783 წლიდგან იხსენიებს ქართველთა მღვდელ-მთავრებსაც. ამ უკანასკნელთა სიას წინ უძღვის მოკლე განხილვა საქართველოს საეკკლესიო ისტორიისა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ რუსეთთან შეერთებამდის. ავტორს მოჰყავს ცნობა მეექვსე მსოფლიო კრების დადგინებიდგან შესახებ საქართველოს ეკკლესიისა. მართლ-მადიდებელ პატრიარხთ იმ კრებაზედ დაადგინეს, რომ მცხეთის ეკკლესია აღიარებულ იქმნას დამოუკიდებელ ეკკლესიად და „სწორი პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი საპატრიარქონი“. მეხუთესა, მეექვსესა ⴃ მეშვიდე მსოფლიო კრებაზედ საქართველოს ეკკლესიის

შადიან სხვისა სახლშია,
კარს უკრძალავად ალებენ.
დაჯავრდენ თუშნი, რო ნახეს
ქვეყანა ნაოხარია.
პირი-ქნეს, იმათ წინ უძღვის
ზეზვაი საოცარია.
სუყველამ ტანზე აისხა
აბჯარი-საომარია.
მე გამომგზავნეს საჩქაროდ
ფშავს და ხევსურეთს მზირადა
და დამაბარეს ხვეწნითა
სიტყვა სათქმელი პირადა:
„ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ,
სისხლით, ხორცით და რჯულითა.
მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ,
გაუტეხელნო გულითა.
უბაროდ, განა არ იცით,
მთანიც რო ვერა გვარობენ.
გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურო,
ბარზე თათრები ხარობენ.
ჩვენის საყდრების ტრაპეზთან
ეხლა მოლები გალობენ.
ბევრია დაღონებული,
უთხარო, ბევრნი წვალობენ!“
მახსონდა ამ დღეს ხოშარელთ
აქ გექნებოდათ ხატობა.
ვიცოდი ეწყინებოდათ
კახეთის რბევის შატყობა.

ღმერთმა აცხონოს ისენი,
ჩვენც იმათ მივდევთ კვალზედა.
იქნება ამ ორს კვირაზე
შავხვდე შავეთის კარზედა.
მანამა ვცოცხლობთ, მტერი გვყავ,
ბევრად სჯობს ვიყვნეთ ცდაზედა.
როცა დრო მოვა და გაქრეს
ბედის ვარსკლავი ცაზედა!
ცოცხალს-კი უნდა ეხუროს
ვაჟკაცსა ქუდი თავზედა.
სიცოცხლეს აუგიანსა
სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.
როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება,
ჩემი ცოლი და შვილები,
თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს
მე თვითონ გავიგმირები.
დედა-შვილობას, ნუ სჩივი,
ღმერთმა აცხონოს გმირები,
რომ არ წაიღეს საფლავში
ლაფით მოსვრილი პირები.

სანათა

ეგებ ინებოს ბატონმა
გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა.
თუ ამას გავიგონებდი,
არ ვიტირებდი მკვდრებზედა,
იმავ დღეს, შვილო, დედილამ,
ჭრელს ჩავიცომდი კაბასა,
არ ვიგლოვებდი იმიერ
ჩემს ჯულურას და საბასა.
ჩემს წარბ-დაღურბლვილს ივანეს,
კარგა ხმარობდა დანასა,
ვენაცვლე იმის გულ-მკერდსა,
შაიხდომლებენ შანასა.
ჩემს ტანა-დაბალს ხუმარას
ბატარას, შუბიანასა.
ვაჟკაცის წესი სცოდნიყო,
არა ჰგავ ჯუბიანასა.
მეხად დაეცა მტრის ჯარსა,
მისთიბდა, როგორც ყანასა.
ეცადა, მაგრამ ვინ დაჰლევს
რიყეზე ქვებს და ლოდებსა,
ვინ დაჰლევს თათრის ლაშქარსა
უთვალავს, გასაოცებსა?
თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა,
შვილთ არც-კი მოვიგონებდი,
რაღა მიჭირდა, თუ მტრისას
გაჟღეტას გავიგონებდი.
გულიდამ ეკლის სალტასა
მაშინის მოვიფონებდი.
შვილო, დედილამ, მე თვითონ
წავალ შავტირებ ფშაველთა,
ყველას შავტირებ ჩემს დარდსა,
ვისაც შავხვდები გზა-ველთა.
მე თუ რვა სული შავსწირე,
თითოს ვერ გაიმეტებენ?
ფშაველნი აიშლებიან,
თუ მტერს სამ დაიმედებენ!
ღმერთო და ჩვენო გამჩენო,
ხატებო ფშავეთისაო,
აავსეთ თათრის სისხლითა
ველები კახეთისაო.
შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა,
დავლათო ახმეტისაო!
გვაკმარე ღმერთო, ზარალი,
გვეყო, რაც სისხლი გვიღვრია,
გვეყო რაც მტერთან ბრძოლაში
ძვალები გადაგვიყრია.
გვეყო ამდენი ცრემლის ღვრა,
დაუშრომელი ვაება.
არ თუ ვებრალვით საყმონი,
ხო არა გვწყალობს ღვთაება.
გვიშველე ლაშარის ჯვარო,
დაგვჭირდა შენი თავია,
შენის ფრანგულით აკურთხე
თუშ-ფშაველ-ხევსურთ ზვავია.
ნუმც დაეღუპვისთ, შენს მადლსა,
ზღვაში შასული ნავია.
ჩაუძველ, ლაშარელაო,
ტანზე შაიბი ხმალია,
გვიჭირს და გამოგვაყენე
შეუმუსრავი ძალია.
ასე მოსთქვამდა დიაცი
თავ-დაკიდებით მდგომარე.
გვიშველე, სულ ბოლოსა სთქვა:
შენა ხარ ჩვენი მომხმარე!

მგზავრი

ამინ! გვიშველოს უფალმა,
ღმერთმან გიცხონოს შვილები,
გაცხონოს, ჩემო დედაო,
ღვთისგანმც ნუ გაიწირები!
დიდხანს საუბარს ვაგძელებ,
სვლას-კი არ ვფიქრობ რადა მე.

სანათა

ძნელადა ბნელა, დედილამ,
ველარსად წახვალ ამ ღამე.

მგზავრი

ხევსურეთს მინდა გადასვლა,
მეტი არ არის ჩარაო.
მიტანა უნდა იმ ამბავს,
რაც ზეზვამ დამაბარაო.
უნდა ჩაუდგე სოფელსა,
ვიარო კარი-კარაო.

სანათა

ღვთის ხელიმც მოგემართება,
წადი, იარე ჩქარაო.
მეც სულელი ვარ ბებერი,
წასვლას რომ გირჩევ ხვალაო.
პურიოთ გშიაინ, დამწვარო,
ნამგზავრ-ნატანჯი ხარაო.
აიღო ქადა-პურები,
მთლიანად ჩააბარაო.
—ნეტავ მაჩვენა კიდევა
ფშაველის ჯარის ფარაო.
მგზავრმა ჩაიდვა საგძალი,
პირ-თავქვე ჩაეფარაო.
ქვეით გაისმა ლოდებზე
მგზავრის ხმლის ბუნის ჩხარაო.

ვაჟა-ფშაველა

(შემდეგი იქნება)

წარმომადგენელნი დასწრებულან თანასწორად სხვებთან. ავტორის აზრით, საქართველოს ეკლესია ახლაც დამოუკიდებელია, რადგან არ ყოფილა მის ავტოკეფალობის გაუქმების დადგენილება სამღვდელო კრებისაგან. პატრიარხ-კათალიკოსებად ავტორი წიგნისა სთვლის ანტონ პირველს და მეორეს და შემდეგ მოჰყავს ცნობანი საქართველოს ეგზარხოსების შესახებ, რომელნიც 1817 წლიდგან ინიშნებიან და რომელნიც ტომით რუსები არიან.

იმერეთის კათალიკოსების შესახებ ამას გვაუწყებს პატივცემული ავტორი: იმერეთისა, გურიისა, სამეგრელოსა და აფხაზეთის ეკლესია თავდაპირველად ემორჩილებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს, შემდეგ ივერიის კათალიკოსს. 1390 წ. ბიჭვინტის არქიეპისკოპოსი აღიარებულ იქმნა დამოუკიდებელ კათალიკოსად აფხაზეთისა და ბიჭვინტისა. 1455 წ. ბიჭვინტის კათალიკოსებმა დაირქვეს სახელი აფხაზეთის და იმერეთისა. შემდეგ, როცა კათედრა გადიტანეს გელათში 1657 წ., მიიღეს სახელი იმერეთისა და აფხაზეთისაცა. 1783 წ. იმერეთის კათალიკოსი მაქსიმე ნიჟარაძე გადასახლდა კიევს და მას შემდეგ კათედრა დარჩა თავისუფალი. საეკლესიო დადგენილება იმერეთის სამღვდელოებისა შესახებ რუსეთის ეკლესიასთან შეერთებისა არ მომხდარა.

შემდეგ ავტორი გადადის, რა ცვლილება მოხდა საქართველოს ეკლესიაში რუსეთთან შეერთების დროიდგან და ვინ რა დროს იყვნენ მღვდელ-მთავრებად. რუსეთის ეკლესიის ისტორიის განხილვის დროს გვაცნობებს, ვინ იყვნენ რუსეთში მღვდელ-მთავრებად ქართველთაგანი და სად არიან დამარხულნი. არქიელნი, რომელნიც რუსეთში ჰცხოვრობდნენ წარსულს საუკუნეში არიან: რომანოზ ერისთვიშვილი † 1753, იოსებ სამებელი † 1750 სარატოვში; ათანასე ამილახვარი † 1752; იონა მიტროპოლიტი რუისისა † 1821 მოსკოვში; პაფნუტი გედევნიშვილი † 1808 მოსკოვში. მკითხველი შეხვდება საყურადღებო ცნობებს ანტონ პირველზედ, გაიოსზედ და სხვაზედ.

ა. ხახანაშვილი

## წერილი რედაქციის მიმართ

19 იანვარს ქართული სცენის მოყვარეთ გამართეს ქართული წარმოდგენა; მომეტებული ნაწილი შემოსავლისა რუსეთის დამშეულ გუბერნიათა სასარგებლოდ იყო გადადებული, ხოლო დანარჩენი-კი სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის განუოფილებისათვის. წარმოადგინეს: „ბიძიასთან გამოხუმრება“, კომედიილი ორ-მოქმედებად თ. რ. ერისთავისა, „ძალათ ექიმი“, და „ადამი და ევა“ კომედიილი ორ მოქმედებად ბ. დ. მესხისაგან რუსულიდამ გადმოკეთებული.

შემოსავალი;

ბილეთებისა—210 მ. 40 კ., ბუფეტისა—48 მან. სულ—258 მ. 40 კ,

გასავალი:

სცენის გაკეთება—33 მან. 60 კაპ. ტანისამოსის ქირა—10 მ. 70 კაპ. ნორმალურ სასწავლებლის მოსწავლეთა ხორის საჩუქრად—10 მან. წვრილმანი ხარჯი—18 მან, სცენის განათება, აფიშები და ბილეთები—8 მ. 10 კ. ბუფეტის ხარჯი—12 მან. სულ 92 მ. 40 მ. ხარჯს გარეშე დარჩა წმინდა შემოსავალი 166 მან., რომლიდამაც დანიშნულებისამებრ 116 მ. გაეგზავნა დამშეულთა სასარგებლოდ ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიას; დანარჩენი 50 მან. ზემოხსენებულ სკოლის ინსპექტორს ბ. ს. უჟიჟიანს გადაეცა.

დასასრულ მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გულითადი მადლობა გამოვუცხადო დახმარებისათვის ქ. კ. მესხს და ბ. დ. მესხს, რომელთაც ქუთაისიდამ ჩამოსვლა არ დაიზარეს, რათა ამ გვარ კეთილ-საქმისთვის შემწეობა აღმოეჩინათ; ბაბილინა ვასტანგის ასულს ქ. ზაბურიშვილისას ბილეთების გაყიდვაში დახმარებისათვის, ქ. ქ. ეფ. აღლაძისას, ე. უკიცარიძისას; ვ. ჯიჯიხიას და კალანდარიშვილის ასულთ. ბ-ნთ თ. ვ. აბაშიძეს, ლ. ჟვანიას; ი. ქავთარაძეს, ე. უკიცარიძეს; ბ. ელიავას და კ. კალანდარიშვილს თვით წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის. კნეინა ა. წერეთლისას, ო. მხეიძისას და თ. ნესტორ მხეიძეს, რომელთაც დიდი შემწეობა აღმოუჩინეს ბილეთების და ბუფეტში სანოვაგეთა გაყიდვაში. ბ. ს. მ. ნაროზოვს, ადგილობრივ ჯარის ასის-თავს, რომლის ლოტბარობით მუსიკა უკრავდა და პოლიციის მოხელეს ბ. ახვლედიანს დახმარებისათვის.

ვსთხოვ „ნოვოე ობოზრენიე“-ის რედაქციას ეს ზემო მოყვანილი ანგარიში გადაბეჭდოს თავისს პატივცემულს გაზეთში.

გამგე წარმოდგენისა კნ· ანნა მხეიძისა
დ. ახალ-სენაკი
23 იანვარს

## დეპეშა

5 თებერვალი

**ბერლინი.** იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა საერო სასწავლებელთა პროექტისა, შეიწყნარა 14 §, რომლის ძალითაც აწინდელი კერძო სასწავლებლები ისევ უნდა დარჩეს და საერო სასწავლებლების დაარსების დროს მხედველობაში უნდა მიიღებოდეს ხოლმე, თუ რა სარწმუნოებისანი არიან მოსწავლენი. დაკანონდა, რომ ყოველისავე სარწმუნოებრივის საზოგადოების ყმაწვილებს, თუ მათი სარწმუნოება სახელმწიფოს მიერ შეწყნარებული იქება, თავისავე სარწმუნოების მასწავლებელი ასწავლიდეს; ხოლო აწინდელი საერო სკოლები ისევ აწინდელს ვითარებაშივე დარჩეს.

6 თებერვალი

**პეტერბურგი.** განსაკუთრებულ კომიტეტის უკანასკნელმა კრებამ ინსტრუკციები დაურიგა ტამბოვისა, ორიოლისა, ტულასი და ტობოლსკის გუბერნიებში გაგზავნილს რწმუნებულებს და თანაც გადასდო თითო გუბერნიისთვის, თუ აუცილებელმა საჭიროებამ მოითხოვა, 100,000 მან. ამასთანავე გადასწყვიტა რამდენსამე გუბერნიას ზოგს პურით და ზოგს ფულით დაეხმაროს. 1—4 თებერვალს განსაკუთრებულმა კომიტეტმა მიიღო შეწირულება $17^1/_2$ ათასი მანათი.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა შეიწყნარა წინადადება საპარლამენტო კომისიისა იმის შესახებ, რომ ჯარის კაცებს საჩივრის შეტანა გაუადვილონ.

**იოკაჰამა.** იაპონიის დეპუტატთა პალატის არჩევანებისათვის მზადების გამო ბევრს ადგილას უწესოება მოხდა—საგაში, ხისენის პროვინციაში საქმე ქუჩაში ბრძოლამდეც მივიდა, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი მოიკლა და ბევრი დაიჭრა.

პეტერბურგის ბირჟა, 4 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაურიგებლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 09 | 8, 12 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $161^1/_2$ | $162^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 17 | 1, 19 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $235^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 225 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | — ,, | $200^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის საბჭო.

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 8 თებერვალს, 12 საათზე, საბჭოს დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ქალაქის ქუჩების ხელახლად მოკირწყვლის იჯარით გაცემისა 1892 წელს. პირობათა შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ გამგეობაში დილის 10 საათიდგან 2 საათამდე ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. (3—3)

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—20)

სამეცნიერო სურათებიანი ჟურნალი
**„ჯ ე ჯ ი ლ ი“**
(მესამე წელიწადი)

გამოვა 1892 წელსაც, ორთთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში Красногорская ул. д. Назарова № 7.)
2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.
3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი—წერეთლისა.

**ახალი სტამბა**
მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,
იქ, სადაც **„ივერიის“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა
სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
**„ივერია“**
1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 5-го Февраля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.